ხალხთა დიდი გადასახლება

ექსპერტი 1: სახელმწიფო ინტერესების მსჯელობისას უნდა დავინახოთ, რომ რომის იმპერია არ იყო უბრალოდ გეოგრაფიული ერთეული, არამედ რთული პოლიტიკური სისტემა, რომლის უზენაესი ინტერესი არსებული სტატუსისა და საზღვრების ურღვევობის შენარჩუნება გახლდათ. როდესაც გოთების მასობრივი მიგრაცია დაიწყო, ეს აღარ იყო მხოლოდ ჰუმანიტარული საკითხი, არამედ იქცა პირდაპირ ზეწოლად იმპერიის სუვერენიტეტზე, რადგან ნებისმიერი სახელმწიფოსთვის კონტროლირებადი ტერიტორია მისი არსებობის ფუნდამენტია. იმპერიის ინტერესებში შედიოდა რესურსების მართვა და უსაფრთხოების გარანტიები, თუმცა გოთების შემოსვლამ შექმნა ვითარება, სადაც ორ სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტს ერთი და იმავე ტერიტორიის მიმართ რადიკალურად განსხვავებული მოლოდინები გაუჩნდა. რომი ცდილობდა შეენარჩუნებინა ადმინისტრაციული დომინაცია, ხოლო გოთებს გადარჩენისთვის სჭირდებოდათ ავტონომიური საცხოვრებელი სივრცე, რაც ავტომატურად ბადებდა ტერიტორიულ დაპირისპირებას.

ექსპერტი 2: კონფლიქტი არ წარმოადგენს რაღაც გარდაუვალ ისტორიულ აუცილებლობას ან სახელმწიფოებრივ საჭიროებას, არამედ იგი იმ ადამიანების მიზანმიმართული და რაციონალური გადაწყვეტილებების ჯამია, რომლებიც ძალაუფლების სათავეში დგანან. როდესაც რომის იმპერიის ელიტამ გოთების მიღების გადაწყვეტილება მიიღო, ისინი ხელმძღვანელობდნენ არა ქვეყნის გრძელვადიანი გეოპოლიტიკური უსაფრთხოებით, არამედ პირადი სარგებლით, რაც კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის რესურსების მითვისებისა და ახალი საგადასახადო ბაზის შექმნის შესაძლებლობას ნიშნავდა. რომაელმა ელიტამ მათ დახმარება არ გაუწია, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ მომენტში ბევრი ოქრო ეშოვნათ, ვიდრე ის, რომ ქვეყანაში მშვიდობა ყოფილიყო. საბოლოოდ, კონფლიქტი იმიტომ კი არ გამწვავდა, რომ რომს ჯარი არ ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ მმართველებმა საკუთარი ამბიციები და ფული ქვეყნის უსაფრთხოებაზე მაღლა დააყენეს. მათ ეგონათ, რომ ყველაფერს აკონტროლებდნენ, მაგრამ საკუთარმა სიხარბემ და არასწორმა არჩევანმა მთელი იმპერია დიდ ომში ჩაითრია.

ექსპერტი 3: ომი და კონფლიქტი მხოლოდ იმიტომ არ დაწყებულა, რომ ლიდერებმა ასე მოინდომეს. რეალურად, მეფეები და იმპერატორები ყოველთვის იმას აკეთებენ, რასაც ხალხი სთხოვს ან რასაც საზოგადოების განწყობა აიძულებს. აქ მთავარია იმ ადამიანების შიშები და სურვილები, რომლებიც იმ დროს ცხოვრობდნენ. მაგალითად, გოთების საზოგადოებაში არსებობდა ძალიან მძიმე ისტორიული მეხსიერება ჰუნების შემოსევაზე. მათ ახსოვდათ ის საშინელება და ნგრევა, რაც გადაიტანეს, ამიტომ მათი ერთადერთი და უმთავრესი დაკვეთა ლიდერების მიმართ იყო გადარჩენა და უსაფრთხო ადგილის პოვნა ნებისმიერ ფასად. როდესაც რომაელებმა მათ ცუდად და დამამცირებლად დაუწყეს მოპყრობა, გოთი ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. ლიდერებმა უბრალოდ შეასრულეს ხალხის დაკვეთა, რომ აღარ დაეშვათ საკუთარი ოჯახების დახოცვა და შიმშილი. მეორე მხრივ, რომაულ საზოგადოებასაც ჰქონდა თავისი ხედვა, მათ სჯეროდათ, რომ მათი იმპერია ყველაზე ძლიერი იყო და არ უნდოდათ უცხოების მიღება თანასწორ მოქალაქეებად. ასე რომ, როცა ორი ხალხის სურვილები და შიშები ერთმანეთს დაეჯახა, ომი გარდაუვალი გახდა. სიმძიმის ცენტრი აქ გადადის პოლიტიკიდან უბრალო ხალხის ემოციებზე და იმ მომენტალურ საჭიროებებზე, რაც საზოგადოებას ყველაზე მეტად აწუხებდა.

ექსპერტი 4: ადამიანების ქცევას არა მხოლოდ კონკრეტული მომენტის შიში, არამედ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კულტურა და სტერეოტიპები განსაზღვრავს. ამ თეორიის მიხედვით, ელიტები იმიტომ კი არ მოქმედებენ ასე, რომ ხალხს იმ წამს რაღაც გაუჭირდა, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების ღირებულებები სხვანაირად მოქცევის საშუალებას უბრალოდ არ აძლევს. მაგალითად, რომაულ კულტურაში ღრმად იყო გამჯდარი სტერეოტიპი, რომ ყველა, ვინც რომაელი არ იყო, ავტომატურად „ბარბაროსს“ ნიშნავდა და მასთან თანასწორი ურთიერთობა შეუძლებელი იყო. ეს კულტურული ღირებულება იმდენად ძლიერი იყო, რომ რომაელი ჩინოვნიკები გოთებს თავიდანვე ზემოდან უყურებდნენ და მათ ადამიანურ საჭიროებებს პატივს არ სცემდნენ. მეორე მხრივ, გოთურ კულტურაში უმთავრესი ღირებულება იყო მეომრული პატივი და თავისუფლება. მათთვის წარმოუდგენელი და შეურაცხმყოფელი იყო მონური მორჩილება საჭმლის

სანაცვლოდ. როცა ეს ორი რადიკალურად განსხვავებული კულტურული კოდი ერთმანეთს შეეჯახა, კონფლიქტი გარდაუვალი გახდა არა იმიტომ, რომ ვიღაცას ომი უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ მათ ღირებულებებში მშვიდობიანი დათმობა სისუსტედ აღიქმებოდა. ელიტები უბრალოდ ამ კულტურული სტერეოტიპების ტყვეები იყვნენ და ისე მოიქცნენ, როგორც მათ საზოგადოებაში იყო მიღებული. ამიტომ, ომი იყო არა სიტუაციური არჩევანი, არამედ ორი სხვადასხვა კულტურული სამყაროს შეუთავსებლობის შედეგი.

ექსპერტი 5: ეს ომი არ იყო უბრალო შემთხვევითობა. მისი აზრით, კონფლიქტი მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა მას რაღაც კონკრეტული ფუნქცია ან როლი აქვს მთელი მსოფლიო პოლიტიკისთვის. ამ თეორიის მიხედვით, გოთებისა და რომის დაპირისპირება საჭირო იყო უფრო მსხვილი მოთამაშეებისთვის ან თავად რეგიონში ძალთა ბალანსის შესაცვლელად. მაგალითად, ეს კონფლიქტი ერთგვარი "ფილტრი" აღმოჩნდა, რომელმაც აჩვენა, რომ ძველი მსოფლიო წესრიგი აღარ მუშაობდა და საჭირო იყო ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ამ ომმა შეასრულა როლი საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ტომებისთვისაც, რადგან მათ დაინახეს, რომ რომი აღარ იყო ხელშეუხებელი გიგანტი. ექსპერტი ფიქრობს, რომ ხშირად ლოკალური ომები მხოლოდ იმიტომ ფეთქდება, რომ დიდ სურათში რაღაც უნდა შეიცვალოს ძველი იმპერიები უნდა დაიშალოს, რათა ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას გზა გაეხსნას. გამოდის, რომ გოთებისა და რომის ომი იყო არა უბრალოდ უბედურება, არამედ აუცილებელი პროცესი, რომელმაც მთელი მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა და სისტემა გადააწყო.

ექსპერტი 6: ომი იმიტომ კი არ ხდება, რომ ვიღაცას საჭმელი დააკლდა, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს სამყაროზე სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. ამ დროს იკვეთება ორი მხარე, რომელთაც თავისი „სიმართლე“ და დღის წესრიგი აქვთ. მაგალითად, რომაელებისთვის მთავარი იდეა იყო „რომაული წესრიგი“ და ის, რომ ცივილიზაცია მხოლოდ მათთან არსებობდა. გოთებს კი თავიანთი რელიგიური შეხედულებები და თავისუფლების იდეა ჰქონდათ. როცა ორი ხალხი ერთმანეთს ასეთი განსხვავებული იდეოლოგიით ეჯახება, ისინი ერთმანეთში მტერს ხედავენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიწას ვერ იყოფენ, არამედ იმიტომ, რომ ერთმანეთის ცხოვრების წესი მათთვის

მიუღებელია. ეს დიდი იდეები აიძულებს ხალხს, რომ დაჯგუფდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ წავიდნენ, რადგან თვლიან, რომ მათი იდეა უფრო სწორია.

ექსპერტი 7: მატერიალური შესაძლებლობა არის ერთგვარი საძირკველი. რომის იმპერიისა და გოთების მაგალითზე ეს ნიშნავს, რომ სანამ გოთებს არ ექნებოდათ საკმარისი სამხედრო ძალა, ისინი ვერ გაბედავდნენ აჯანყებას, რაც არ უნდა ცუდად მოპყრობოდნენ მათ რომაელები. კონფლიქტი მხოლოდ მას შემდეგ გახდა რეალური, რაც მათ იგრძნეს, რომ ბრძოლის წარმოების რესურსი გააჩნდათ. ამავე დროს, რომაული მხარეც იმიტომ ჩაება ომში, რომ მათ ჯერ კიდევ სჯეროდათ საკუთარი სამხედრო უპირატესობის. რაც შეეხება იდეებს, რელიგიას ან სამართლიანობისთვის ბრძოლას, ეს ყველაფერი მხოლოდ „იდეური ზედნაშენია“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ჩნდება ომის წარმოების მატერიალური საშუალება, ხოლო შემდეგ მხარეები იგონებენ იდეოლოგიურ მიზეზებს, რათა ეს ომი საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის გაამართლონ. მაგალითად, გოთებმა შეიძლება თქვან, რომ „თავისუფლებისთვის“ იბრძვიან, ხოლო რომაელებმა რომ „წესრიგს“ იცავენ, მაგრამ სინამდვილეში ეს იდეები მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, რაც მხარეებს უკვე აქვთ იარაღი და ბრძოლის დაწყება შეუძლიათ. ამრიგად, სიმძიმის ცენტრი მთლიანად გადადის რესურსებზე. ომი არ არის იდეების შეჯახება; ომი არის იმ რეალური ძალის გამოყენება, რაც მხარეებს კონკრეტულ მომენტში გააჩნიათ. თუ არ არსებობს ძალა, არ არსებობს კონფლიქტიც, ხოლო როგორც კი ჩნდება მატერიალური შესაძლებლობა, ადამიანები ყოველთვის პოულობენ იდეურ მიზეზს მის გამოსაყენებლად.